INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ღია მმართველობა საქართველო

საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა 2015-2016

European Union

საქართველოს პარლამენტი

UNDP

Empowered lives.
Resilient nations.

პროექტს აფინანსებს ევროკავშირი და საქართველოს პარლამენტი, და ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) თანამშრომლობით.

21-ე საუკუნეში დემოკრატიული არჩევანის ერთგული ქვეყნები და პოლიტიკური ძალები ახალი ნიშნულების გადალახვის წინ ვიმყოფებით. წარმომადგენლობითი დემოკრატია, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა მე-19 და მე-20 საუკუნეებში კაცობრიობის განვითარებისათვის, აღარ არის საკმარისი. აღარ არის საკმარისი, რომ კარგმა წარმომადგენლებმა კარგად მართონ საზოგადოება. გაჩნდა იმის აუცილებლობაც და შესაძლებლობაც, რომ მეტად დავეყრდნოთ უშუალო დემოკრატიის ფორმებს და მოქალაქეები მეტად გახდნენ საჯარო გადაწყვეტილებების მიღების თანამონაწილეები.

ხელისუფლების წარმომადგენლები, ვისაც მონდობილი გვაქვს საზოგადოებრივი საქმეების გადაწყვეტა, ყოველთვის უნდა ვგრძნობდეთ თავს ანგარიშვალდებულად ჩვენი მოქალაქეების წინაშე და უნდა ვცდილობდეთ არა მხოლოდ მათ ინფორმირებას, არამედ მათ ჩართვას მმართველობის პროცესში.

კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ სწორედ საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები იყვნენ იმ პირველ ინიციატორთა შორის, ვინც 2014 წელს სანტიაგოში გამართულ მსოფლიო ფორუმზე გააჟღერეს საპარლამენტო და საკანონმდებლო საქმიანობის ღიაობის ახალი ინიციატივა, რომელიც ორგანულად უერთდება ღია მმართველობის პარტნიორობის პროცესს.

2015 წლის დასაწყისში პარლამენტში შეიქმნა ღია მმართველობის აქტივობათა საკოორდინაციო ინტერფრაქციული ჯგუფი. ჯგუფმა არასამთავრობო ორგანიზაციის *„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“* - დახმარებით, გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროკავშირის საპარლამენტო პროექტის ფარგლებში, საკმაოდ მოკლე ვადაში მოამზადა საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა, რომელიც 2015 წლის 17 ივლისს დაამტკიცა პარლამენტის ბიურომ. სამოქმედო გეგმა 2015-2016 წლებში განხორციელდება და 18 მნიშვნელოვან ვალდებულებას მოიცავს. ჩვენი სამოქმედო გეგმა იმდენად ამბიციური დოკუმენტია, რომ ჩნდება კითხვა, ხომ არ აჯობებს, ცოტა შევამციროთ - ან ტემპი, ან მოცულობა და უფრო რეალისტები ვიყოთ? მაგრამ იქვე მეორე კითხვაც ჩნდება, თუ ასე მოვიქცევით, ამ საკითხშიც და ყველა სხვა საკითხშიც, მაშინ ჩვენ მიერ ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრობის დასახული ამოცანა, ალბათ, უნდა გადავდოთ ათწლეულობით... ამიტომ სწორედ ასე, ასეთი ტემპით და ასეთი ამბიციური გეგმებით უნდა გავაგრძელოთ ქართული ევროპული სახელმწიფოს აღმშენებლობა!

დავით უსუფაშვილი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

სარჩევი

	პრეამბულა	5
1.	მოქალაქეთა ჩართულობა	6
1.1.	კანონპროექტებზე კომენტარის (ელექტრონულად და/ან წერილობით) დატოვების შესაძლებლობა	6
1.2.	საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადებისა და საკანონმდებლო ინიციატივის ელექტრონული სახით წარდგენის და მოქალაქეთა მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმის დანერგვა პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით	8
1.3.	მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა საკანონმდებლო პროცესში	11
1.4.	ფიზიკური დასწრების უზრუნველყოფა	13
1.5.	დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის დასაბუთების ვალდებულების განსაზღვრა	14
1.6	საზოგადოებრივი განათლებისა და ცნობიერების ამაღლება საქართველოს პარლამენტის საქმიანობაზე, მის როლსა და მისიაზე; პარლამენტის ინსტიტუციონალური იმიჯისა და როლის გაძლიერება	15
2.	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	17
2.1.	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საპარლამენტო ინფორმაციაზე წვდომის გამარტივება	17
2.2.	საპარლამენტო კომიტეტების წლიური ანგარიშებისა და დასკვნების პროაქტიული გამოქვეყნება	19
2.3.	კანონშემოქმედებით პროცესში კონსულტაციების ჩატარების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება და მიღება	20
2.4.	კანონპროექტის განხილვისას, პირველად ტექსტში შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვა და მათი დროული გამოქვეყნება საკანონმდებლო ორგანოს ვებგვერდზე	22
2.5.	პარლამენტის მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის განახლება	24
2.6.	განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება	26
3.	ტექნოლოგიები და ინოვაცია	27
3.1.	პარლამენტის ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება	27
3.2.	ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვა; ახალგაზრდების, ეთნიკური უმცირესობებისა და სხვა ინტერეს-ჯგუფების საპარლამენტო საქმიანობაში ჩართულობის გაზრდა; საზოგადოებასთან ორმხრივი კომუნიკაციის გაძლიერება	28
4.	ანგარიშვალდებულება	31
4.1.	ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შექმნა	31
4.2.	საქართველოს პარლამენტის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზება	33
4.3.	„საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის“ შემუშავება და მიღება	34
4.4.	საქართველოს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსის შემუშავება	36

პრეამბულა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს „საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმას“, რომლის მიზანია, უზრუნველყოს „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP)[1] და საპარლამენტო ღიაობის დეკლარაციის[2] პრინციპების შესაბამისად საქართველოს პარლამენტის ღიაობა და საპარლამენტო ინფორმაციის გამჭვირვალობა. აგრეთვე, ხელი შეუწყოს საპარლამენტო საქმიანობასა და საკანონმდებლო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას.

„ღია მმართველობის პარტნიორობა“ (OGP) 2011 წელს დაფუძნებული საერთაშორისო ინიციატივაა, რომელიც მიზნად ისახავს მთავრობის გამჭვირვალობის, ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობას. დღეისთვის, ინიციატივის წევრია მსოფლიოს 65 ქვეყანა. თითოეულ ქვეყანაში ხელისუფლება და სამოქალაქო სექტორი თანამშრომლობს ღია მმართველობასთან დაკავშირებული რეფორმების გასატარებლად.

საქართველომ, როგორც „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) წევრმა ქვეყანამ, დაამტკიცა 2012-2013 წლებსა და 2014-2015 წლებზე გათვლილი სამოქმედო გეგმები. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ „2012-2013 წლების წინსვლის ანგარიშის“ თანახმად, საქართველომ მიიღო მაღალი შეფასება ბიუჯეტის გამჭვირვალობის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ქონებრივი დეკლარაციების გამოქვეყნების კუთხით. თუმცა, დაბალი შეფასება მიიღო მოქალაქეთა ჩართულობის კომპონენტში, რაც ხაზს უსვამს მოქალაქეებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაძლიერების საჭიროებას.[3]

თავდაპირველად, „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) მონაწილეები იყვნენ მხოლოდ ქვეყნების აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, თუმცა, ღია მმართველობის ინიციატივის განხორციელების პროცესში გამოიკვეთა საკანონმდებლო ხელისუფლების ჩართულობის აუცილებლობა. შედეგად, პარტნიორობის ფარგლებში შეიქმნა საკანონმდებლო ღიაობის სამუშაო ჯგუფი (Legislative Openness Working Group, LOWG).[4]

„საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა“ ითვალისწინებს 18 ვალდებულებას, რომელიც შემუშავებულია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2015 წლის 12 თებერვლის #19/3 ბრძანების საფუძველზე შექმნილი ინტერფრაქციული ჯგუფისა და „საქართველოს ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის“ მონაწილე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. „საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის“ ვალდებულებები ჩამოყალიბებულია „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ოთხი ძირითადი პრინციპის შესაბამისად, კერძოდ, ეს პრინციპებია: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მოქალაქეთა ჩართულობა, ანგარიშვალდებულება, ტექნოლოგიები და ინოვაცია.

საქართველო, „ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის“ მიღებით, შეუერთდება „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) წევრ ქვეყანათა იმ მცირე ნაწილს, რომელსაც დამტკიცებული აქვს საპარლამენტო ღიაობის სამოქმედო გეგმები. ამ დროისთვის „ღია მმართველობის პარტნიორობის“ წევრ რამდენიმე ქვეყანას მიღებული აქვს საპარლამენტო ღიაობის სამოქმედო გეგმა.[5] ზემოთ ხსენებული გეგმის დამტკიცებით, საქართველო გახდება „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანა საპარლამენტო ღიაობის თვალსაზრისით.

„საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა“ შემუშავდა საქართველოს პარლამენტთან პარტნიორობით ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ განხორციელებული პროექტის „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ინიციატივაში საქართველოს პარლამენტის ჩართულობის მხარდაჭერის“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტი დაფინანსებული იყო გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ევროკავშირის (EU) პროგრამის - „საპარლამენტო დემოკრატიის სისტემის გაძლიერება საქართველოში“ - ფარგლებში.

1. Open Government Partnership, http://www.opengovpartnership.org/.
2. Declaration on Parliamentary Openness, http://openingparliament.s3.amazonaws.com/docs/declaration/1.0/english.pdf.
3. 2012-2013 წლების წინსვლის ანგარიში, http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Georgia_final_2012.pdf, 2012, 14.
4. Open Government Partnership, http://www.opengovpartnership.org/webinar-introducing-legislative-openness-working-group.
5. საპარლამენტო ღიაობის საკითხები ღია მმართველობის პარტნიორობის წევრ ქვეყნებში, https://idfi.ge/ge/issues-of-open-parliament-in-ogp-member-countries.

1. მოქალაქეთა ჩართულობა

1.1. კანონპროექტებზე კომენტარის (ელექტრონულად და/ან წერილობით) დატოვების შესაძლებლობა

საკანონმდებლო ღიაობა პასუხობს „ღია მმართველობის პარტნიორობის“ გამოწვევას **საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდის** შესახებ. დღეისთვის, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია კანონპროექტები, შესაბამისი თანდართული დოკუმენტაციით. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პარლამენტმა კიდევ უფრო გახსნილი და ღია გახადოს საკანონმდებლო პროცესი და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით გაჩნდეს კანონპროექტებსა და ახლად მიღებულ კანონებზე კომენტარების დატოვების შესაძლებლობა. ეს, ერთი მხრივ, წაახალისებს საჯარო კონსულტაციებს მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის გზით, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს კანონმდებლობის დახვეწას.

კანონებსა და კანონპროექტებზე კომენტარების დატოვების ფორმატს უზრუნველყოფს „საკანონმდებლო მაცნე“. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ კომენტარების დატოვების შესაძლებლობას ითვალისწინებდეს საქართველოს პარლამენტიც, როგორც საკანონმდებლო ორგანო. მხოლოდ საქართველოს პარლამენტია ის უფლებამოსილი ორგანო, რომელსაც შეუძლია არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების ასახვა და პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტების მოდიფიცირება. შესაბამისად, გამჭვირვალე და მოქალაქეთა ჩართულობაზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვისთვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამ ნაბიჯის გადადგმა. ეს, რასაკვირველია, არ არის ახალი სტანდარტი. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღნიშნული მიდგომა უკვე აპრობირებული და დანერგილია. მაგალითად, „ღია მმართველობის გზამკვლევი“ საკანონმდებლო პროცესთან დაკავშირებით კომენტარების გაკეთების შესაძლებლობას საპარლამენტო საქმიანობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის ნაწილად მიიჩნევს. თავის მხრივ, საპარლამენტო საქმიანობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა „ღია მმართველობის გზამკვლევის“ პირველი საფეხურის სარეკომენდაციო ვალდებულებაა. ასევე, გზამკვლევის მესამე საფეხურის სარეკომენდაციო ვალდებულებაა ციფრული პლატფორმების შემუშავება პარლამენტის საქმიანობაში მოქალაქეების ჩართულობის გასაძლიერებლად. აღნიშნული სარეკომენდაციო ვალდებულება მოიაზრებს პლატფორმის შექმნას მოქალაქეების მიერ კომენტარის დატოვების მიზნით.

„ღია მმართველობის გზამკვლევი“, აღნიშნული სარეკომენდაციო ვალდებულების განხორციელებასთან დაკავშირებით, გამოყოფს **ბრაზილიისა** და **ფინეთის** გამოცდილებას.[6] ბრაზილიაში, სხვადასხვა ჯგუფის საკანონმდებლო პროცესში ჩართვის მიზნით, დეპუტატების პალატის ელ-დემოკრატიის პლატფორმა იყენებს სოციალურ მედიასა და ახალ ტექნოლოგიებს. მაგალითად, პლატფორმის მეშვეობით მოქალაქეებს შეუძლიათ კანონპროექტზე კომენტარის გაკეთება და გადამოწმება, მოხდა თუ არა მათი კომენტარის კანონპროექტის საბოლოო ვერსიაში გათვალისწინება.

საკანონმდებლო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას განამტკიცებს, ასევე, საპარლამენტო ღიაობის დეკლარაცია, რომელსაც საქართველოს პარლამენტი 2015 წლის 30 აპრილს ოფიციალურად შეუერთდა.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს პარლამენტი
განხორციელების ვადა: 2016 წელი

6. ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 233-234, http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf

1.1. კანონპროექტებზე კომენტარის (ელექტრონულად და/ან წერილობით) დატოვების შესაძლებლობა

წამყვანი დაწესებულება		საქართველოს პარლამენტი			
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება				
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ინიციატორი: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებმა განაცხადეს თანხმობა, რომ შეიქმნას მოქალაქეებისთვის კანონპროექტების კომენტირების და კომენტარის ავტორთან უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა.			
მთავარი მიზანი		პლატფორმის შექმნა, რაც შესაძლებლობას მისცემს მოქალაქეებს, კანონპროექტების პირველი მოსმენით განხილვისთანავე დატოვონ კომენტარები წერილობითი და/ან ელექტრონული ფორმით.			
OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება.			
შესაბამისობა OGP პრინციპებთან		ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	ანგარიშვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაცია
			✓	✓	✓
ვალდებულების განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	
კონცეფციის შემუშავება		ახალი ვალდებულება	10/2015	12/2015	
რეგლამენტში ცვლილების შეტანა		ახალი ვალდებულება	01/2016	03/2016	
პლატფორმის შექმნა		ახალი ვალდებულება	01/2016	06/2016	
საინფორმაციო კამპანიის უზრუნველყოფა		ახალი ვალდებულება	07/2016	09/2016	
ინდიკატორი		პლატფორმა შექმნილია.			
რისკები და ვარაუდები		შესაძლებელია პლატფორმა შეიქმნას, მაგრამ არ მოხდეს მისი აქტიური გამოყენება. შესაბამისად, აუცილებელია საინფორმაციო კამპანიის სწორად და კარგად დაგეგმვა, იმისათვის, რომ მოქალაქეებს ჰქონდეთ გაცნობიერებული შესაძლებლობები, რასაც აღნიშნული პლატფორმის შექმნა ითვალისწინებს.			

1.2. საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადებისა და საკანონმდებლო ინიციატივის ელექტრონული სახით წარდგენის და მოქალაქეთა მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმის დანერგვა პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით

დემოკრატიულ პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ღია მმართველობის პრინციპების განვითარების დროს. პარლამენტი, როგორც დემოკრატიული ხელისუფლების წარმომადგენლობითი შტო, მოქალაქეებს აკავშირებს საჯარო პოლიტიკის პროცესთან და კონტროლს უწევს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას. საპარლამენტო ღიაობის უზრუნველსაყოფად აღებული ვალდებულებები უნდა მოიცავდეს პარლამენტის ღიაობას, ანგარიშვალდებულებას და მოქალაქეების უფლებას საპარლამენტო საქმიანობაში მონაწილეობაზე. სამწუხაროდ, საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან გაწეული ადვოკატირების მიუხედავად, 2014-15 წლების სახელმწიფოს ეროვნულ სამოქმედო გეგმაში არ აისახა საქართველოს პარლამენტის ვალდებულება, რომელიც გულისხმობდა საკანონმდებლო პროცესში სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერებას, კერძოდ, მოქალაქეების პეტიციების სისტემის შექმნას.[7]

ამ დროს, „ღია მმართველობის გზამკვლევის“ ერთ-ერთ რეკომენდაციას სწორედ ელ-პეტიციების ვებ-პლატფორმის შექმნა წარმოადგენს, სადაც მოქალაქეებს შეეძლებათ, წარადგინონ სხვადასხვა სახის ინიციატივა კანონპროექტთან დაკავშირებით, ხოლო შემდეგ მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, მხარი დაუჭირონ და შეუერთდნენ ამ ინიციატივას. აღსანიშნავია, რომ „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ინიციატივაში ჩართულ ქვეყნების ერთ ნაწილს უკვე გადადგმული აქვს ქმედითი ნაბიჯები ამ მიმართულებით. ასე მაგალითად, ლატვიის სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2012 წლის თებერვლიდან, ლატვიის მოქალაქეებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ პარლამენტის დღის წესრიგზე. იმ შემთხვევაში, თუ 16 წელს მიღწეული არანაკლებ 10 000 მოქალაქე ელექტრონულად მოაწერს ხელს პარლამენტში წარსადგენ განაცხადს, მათ მოსაზრებებს განიხილავენ საპარლამენტო კომიტეტებსა და პლენარულ სხდომაზე. პარლამენტში განაცხადის წარდგენა ელექტრონულადაც არის შესაძლებელი, თუ მოხდება განაცხადზე ხელმომწერ პირთა იდენტიფიცირება. ამავდროულად, მონღოლეთის პარლამენტში შექმნილია პეტიციების განმხილველი მუდმივი კომიტეტი, რომელიც განიხილავს მოქალაქეების პეტიციებს, იღებს გადაწყვეტილებებს და ქმნის სამართლებრივ გარემოს საჯარო მოსმენებისთვის.[8]

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს პარლამენტი
განხორციელების ვადა: 2016 წელი

7. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/356.
8. იქვე, გვ. 2.

1.2. საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადებისა და საკანონმდებლო ინიციატივის ელექტრონული სახით წარდგენის და მოქალაქეთა მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმის დანერგვა პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით

წამყვანი დაწესებულება		საქართველოს პარლამენტი
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ინიციატორი: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		საქართველოს პარლამენტის წევრებმა და საქართველოს პარლამენტის აპარატის წარმომადგენლებმა განაცხადეს თანხმობა, რომ მოქალაქეებს ან საინიციატივო ჯგუფებს მიეცეთ პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადებისა და საკანონმდებლო ინიციატივის ელექტრონული სახით წარდგენის და მისი მხარდაჭერის შესაძლებლობა. პარლამენტის ვებ-გვერდზე საკანონმდებლო ინიციატივებისა და წინადადებების განთავსება მნიშვნელოვანია, რადგან საზოგადოებრიობის წარმომადგენლები წინასწარ იყვნენ ინფორმირებული ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საკანონმდებლო წინადადებების შესახებ და სურვილის შემთხვევაში, შეუერთდნენ აღნიშნულ წამოწყებას. ამავდროულად, საკანონმდებლო პროცესში საზოგადოების მეტი ჩართულობისა და ინფორმირების გაზრდის თვალსაზრისით, კომიტეტებმა ყოველი სესიის ბოლოს გამოაქვეყნონ ინფორმაცია თუ რამდენი საკანონმდებლო წინადადება მოიწონეს და, მოწონების შემთხვევაში, იქცა თუ არა ის საკანონმდებლო ინიციატივად. პარლამენტის მიერ აღებული აღნიშნული ვალდებულება შეიძლება ორ ძირითად კომპონენტად დავყოთ: 1. საკანონმდებლო წინადადების შემთხვევაში - პარლამენტში რეგისტრირებული ყველა წინადადება პარლამენტის ვებგვერდზე ავტომატურად განთავსდება და მოქალაქეებს მიეცემათ შესაძლებლობა, ელექტრონული ხელმოწერით შეუერთდნენ ზემოთ აღნიშნულ წინადადებას. ამავე დროს, აქვე განთავსდება ყველა ის დოკუმენტი, რაც შეიქმნება ამ წინადადების განხილვის პროცესში. 2. საკანონმდებლო ინიციატივის შემთხვევაში - საინიციატივო ჯგუფებს, ერთი მხრივ, მიეცეთ შესაძლებლობა, წინასწარ დადგენილი პროცედურის შესაბამისად, განათავსონ ინფორმაცია საკანონმდებლო ინიციატივის შესახებ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე და, მეორე მხრივ, ელექტრონული ხელმოწერით შეუერთდნენ ამ ინიციატივას, ხოლო 30 000 ელექტრონული ხელმოწერის შეგროვების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დაიწყება შესაბამისი განხილვის პროცედურები.
მთავარი მიზანი		პლატფორმის შექმნა პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსება მოქალაქეების ან საინიციატივო ჯგუფების მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ინიციატივები და წინადადებები, და მოქალაქეებს მიეცემათ შესაძლებლობა ელექტრონული ხელმოწერით მხარი დაუჭირონ მათ.

1.2. საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადებისა და საკანონმდებლო ინიციატივის ელექტრონული სახით წარდგენის და მოქალაქეთა მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმის დანერგვა პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით

OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება	საჯარო მომსახურების გაუმჯობესება			
შესაბამისობა OGP პრინციპებთან	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	ანგარიშვალ-დებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაცია
	✓	✓	✓	✓
ვალდებულების განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	
კონცეფციის შემუშავება	ახალი ვალდებულება	10/2015	02/2016	
რეგლამენტში ცვლილების შეტანა	ახალი ვალდებულება	01/2016	03/2016	
პლატფორმის ტექნიკური გამართვა	ახალი ვალდებულება	03/2016	08/2016	
საინფორმაციო კამპანიის უზრუნველყოფა	ახალი ვალდებულება	08/2016	09/2016	
ინდიკატორი	1. საინიციატივო ჯგუფებს აქვთ პარლამენტის ვებგვერდზე საკანონმდებლო ინიციატივების განთავსების შესაძლებლობა; 2. პარლამენტის ვებგვერდზე ხდება საკანონმდებლო წინადადების განთავსება; 3. მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა მხარი დაუჭირონ და შეუერთდნენ ვებპლატფორმაზე განთავსებულ საკანონმდებლო ინიციატივებსა და წინადადებებს; 4. კომიტეტების მიერ ყოველწლიურად სტატისტიკის გამოქვეყნება - რამდენ საკანონმდებლო წინადადებას დაუჭირეს მხარი და რამდენი იქცა კომიტეტის ინიციატივად.			
რისკები და ვარაუდები	შესაძლებელია ვებპლატფორმა შეიქმნას, მაგრამ არ მოხდეს მისი აქტიური გამოყენება. შესაბამისად, აუცილებელია საინფორმაციო კამპანიის სწორად და კარგად დაგეგმვა, იმისათვის, რომ მოქალაქეებს ჰქონდეთ გაცნობიერებული ის შესაძლებლობები, რასაც აღნიშნული ვებპლატ-ფორმის შექმნა ითვალისწინებს.			

1.3. მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა საკანონმდებლო პროცესში

ქვეყანაში ღია მმართველობის დამკვიდრებისთვის კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს პარლამენტის, როგორც საკანონმდებლო ორგანოს, აქტიურ ჩართულობას ამ პროცესში. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა მას შემდგომ, რაც მმართველობის საპრეზიდენტო მოდელი საპარლამენტო მოდელმა ჩაანაცვლა. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ პარლამენტის როლის გაზრდა სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობისა და პირდაპირი დემოკრატიის ინსტიტუციურ განვითარებაში ძალზედ მნიშვნელოვანია. ეს მიდგომა კარგად არის ფორმულირებული პარლამენტის ღიაობის დეკლარაციაში: „პარლამენტს აქვს ვალდებულება, საკანონმდებლო და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, დისკრიმინაციის გარეშე, აქტიურად ჩართოს მოქალაქეები და სამოქალაქო საზოგადოება, რათა ეფექტურად წარმოადგინოს მოქალაქეების ინტერესები და მოქალაქეებს მისცეს უფლება, პეტიციებით მიმართონ მთავრობას“. აღნიშნულთან დაკავშირებით, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი რეკომენდაციით მიმართავს სამუშაო ჯგუფს, დახვეწოს საქართველოს რეგლამენტით გათვალისწინებული მექანიზმები საკანონმდებლო საქმიანობაში მოქალაქეთა პირდაპირი ჩართვის მიზნით.

1. საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების დახვეწა

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 176-ე მუხლის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის უზრუნველყოფის მიზნით, პარლამენტი ქმნის საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიას, რომელიც დაკომპლექტებულია პარლამენტის წევრებით. არსებული პრაქტიკით, საორგანიზაციო კომისიაში ასევე შეიძლება შედიოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები და ექსპერტები. საორგანიზაციო კომისია ერთი თვის ვადაში განიხილავს საკონსტიტუციო ცვლილების პროექტთან დაკავშირებულ მასალებს და პარლამენტი მხოლოდ ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ არის უფლებამოსილი, დაიწყოს პროექტის განხილვა. ამასთანავე, კანონპროექტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვა იწყება საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარის ან კომისიის მიერ უფლებამოსილი წევრის მოხსენებით, რომელიც პლენარულ სხდომას გააცნობს საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი ითვალისწინებს სავალდებულო ერთიანი საყოველთაო-სახალხო განხილვის პერიოდს, რეგლამენტში არ არის დაკონკრეტებული განხილვის ჩატარების წესი და დეტალები, კერძოდ: საქართველოს რომელ რეგიონებში და მინიმუმ რამდენი შეხვედრა უნდა ჩატარდეს, როგორ მოხდება მოქალაქეების უკუკავშირის მიღება და გაზიარება.

წარსულში მსგავსი შეხვედრების ჩატარების წარმატებული პრაქტიკის არსებობის შედეგად, აუცილებელია აღნიშნული ნორმის საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში დაზუსტება.

ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის ორგანიზების ნორმების დაზუსტება არის მოქალაქეთა ჩართულობის მიზნით გადადგმული მხოლოდ ერთი ნაბიჯი. სასურველია, მომავალ სამოქმედო გეგმებში, ასევე, გაიწეროს მსგავსი პროცედურები დიდი მნიშვნელობის მქონე კანონპროექტებისთვის (სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, ორგანული კანონპროექტები), რათა მაქსიმალურად მოხდეს მოსახლეობის ჩართვა, უკუკავშირის მიღება და მათი ინიციატივების გათვალისწინება კანონშემოქმედებით პროცესში.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს პარლამენტი
განხორციელების ვადა: 2015 წელი

1.3. მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა საკანონმდებლო პროცესში

წამყვანი დაწესებულება		საქართველოს პარლამენტი			
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება				
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ინიციატორი: ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა					
მთავარი მიზანი		საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის ორგანიზების შესახებ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში დღეს არსებული ნორმების დახვეწა და დაკონკრეტება.			
OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება			
შესაბამისობა OGP პრინციპებთან		ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	ანგარიშვალ-დებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნო-ლოგიები და ინოვაცია
		✓	✓	✓	
ვალდებულების განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	
საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის ორგანიზების ნორმების დახვეწა		ახალი ვალდებულება	2015	2015	
საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის ორგანიზების ნორმების შესახებ შესაბამისი ცვლილების მიღება		ახალი ვალდებულება	2015	2015	
ინდიკატორი		2015 წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში დეტალურად არის განსაზღვრული საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის ორგანიზების ნორმების, კერძოდ, შეხვედრების მინიმალური რაოდენობა და გეოგრაფიული არეალი (თითოეულ რეგიონში მინიმუმ ერთი შეხვედრის ჩატარება), ასევე მოქალაქეთა უკუკავშირის მიღების ფორმები - გამოკითხვა ვებგვერდის საშუალებით, შეხვედრებზე დარიგებული უკუკავშირის ფორმები.			

რისკები და ვარაუდები	საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებები მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. განხორციელებული ცვლილებებით განსაზღვრული მინიმალური შეხვედრების რაოდენობა ძალიან მცირეა (3 შეხვედრა ან ნაკლები), ასევე გეოგრაფიულ არეალად არის მოხსენიებული მხოლოდ აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო. საქართველოს პარლამენტი საკუთარი ბიუჯეტიდან არ გამოყოფს თანხებს სავალდებულო საყოველთაო-სახალხო განხილვის შეხვედრების ჩასატარებლად.

1.4. ფიზიკური დასწრების უზრუნველყოფა

1.4. ფიზიკური დასწრების უზრუნველყოფა					
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს პარლამენტი			
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება				
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ინიციატორი: საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		პარლამენტის შენობაში შესასვლელად საჭიროა საშვი, რომლის დაშვების უფლებაც პარლამენტის წევრებთან ერთად, პარლამენტის აპარატის თანამშრომლების მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს. ამის შესახებ საპარლამენტო ვებგვერდზე არ არსებობს არანაირი მითითება. ეს მნიშვნელოვნად აფერხებს საპარლამენტო საქმიანობაში სამოქალაქო ჩართულობის პოტენციალს და ეწინააღმდეგება საპარლამენტო ღიაობის პრინციპს, ისევე როგორც - დემოკრატიისა და ღია საზოგადოების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. აუცილებელია, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე დეტალურად აღწერილი და გამოქვეყნებული იყოს, რა პროცედურა უნდა გაიაროს მოქალაქემ, იმისათვის რომ დაესწროს პლენარულ სხდომებსა და საკომიტეტო მოსმენებს.			
მთავარი მიზანი		მოქალაქეებისათვის პარლამენტის შენობაში შესვლის წესების განმარტება პარლამენტის ვებგვერდზე.			
OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება.			
შესაბამისობა OGP პრინციპებთან		ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	ანგარიშვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაცია
		✓	✓	✓	
ვალდებულების განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	

1.4. ფიზიკური დასწრების უზრუნველყოფა			
პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება	ახალი ვალდებულება	10/2015	11/2015
ინდიკატორი	დასწრების წესები ქვეყნდება საპარლამენტო ვებგვერდზე.		
რისკები და ვარაუდები			

1.5. დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის დასაბუთების ვალდებულების განსაზღვრა

1.5. დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის დასაბუთების ვალდებულების განსაზღვრა				
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს პარლამენტი		
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება			
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ინიციატორი: საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო		
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		ყველა ოფიციალური შეხვედრის დღის წესრიგი, როგორც წესი, მოცემულია პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ კალენდარში. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც კომიტეტის მსვლელობისას ხდება საკითხების დაუსაბუთებლად დამატება, რაც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს არ აძლევს კანონპროექტის განხილვის პროცესში ჩართვის საშუალებას. მსგავსი პრაქტიკის თავიდან არიდების მიზნით მიზანშეწონილია კომიტეტის მსვლელობისას საკითხების დამატება მხოლოდ სათანადო დასაბუთებითა და სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით.		
მთავარი მიზანი		დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის დასაბუთების ვალდებულების განსაზღვრა.		
OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება.		
შესაბამისობა OGP პრინციპებთან		ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	ანგარიშვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაცია
		✓	✓		
ვალდებულების განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი:	დასრულების თარიღი:	

განისაზღვროს საკომიტეტო მოსმენების დროს დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის დასაბუთების ვალდებულება	ახალი ვალდებულება	2015	2015
ინდიკატორი	საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები საკომიტეტო მოსმენების დროს დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის დასაბუთების ვალდებულების თაობაზე.		
რისკები და ვარაუდები			

1.6. საზოგადოებრივი განათლებისა და ცნობიერების ამაღლება საქართველოს პარლამენტის საქმიანობაზე, მის როლსა და მისიაზე; პარლამენტის ინსტიტუციონალური იმიჯისა და როლის გაძლიერება

საქართველოს პარლამენტის საკომუნიკაციო სტრატეგია, რომელიც შემუშავდა საქართველოს პარლამენტის, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის - „საპარლამენტო დემოკრატიის სისტემის გაძლიერება საქართველოში“ - მხარდაჭერით, განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის მთავარ ამოცანებს და კომუნიკაციის პრინციპებს. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი ის აქტივობები, რომელთა განხორციელებაც: ა) ხელს შეუწყობს პარლამენტის საქმიანობაზე, მის როლსა და მისიაზე საზოგადოებრივი განათლების და ცნობიერების ამაღლებას; ბ) უზრუნველყოფს პარლამენტის კანონშემოქმედებით საქმიანობასა და პროგრამებში დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას; და გ) შექმნის ხელსაყრელ გარემოს და გააუმჯობესებს საზოგადოებასთან ორმხრივ კომუნიკაციას ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვის გზით.

აღნიშნული საკომუნიკაციო სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია პარლამენტის სოციალური მედიის სტრატეგია. მასში განსაზღვრული დამატებითი მიზნების განხორციელებით, გათვალისწინებულია, რომ საქართველოს პარლამენტისა და მისი საქმიანობის შესახებ სოციალური მედიის არხებით გავრცელებული ინფორმაცია გახდება უფრო ხელმისაწვდომი, მრავალფეროვანი და საინტერესო.

საქართველოს პარლამენტის საქმიანობაზე, მის როლსა და მისიაზე საზოგადოებრივი განათლების და ცნობიერების ამაღლების, ასევე, პარლამენტის ინსტიტუციონალური იმიჯის და როლის გაძლიერების მიზნით, საქართველოს პარლამენტი გეგმავს საპარლამენტო ღიაობის კვირეულის დანერგვას („ღია კარის დღეები საქართველოს პარლამენტში“); პარლამენტის კომიტეტების ჩართულობით რეგულარული თემატური შეხვედრების, პრეზენტაციებისა და სემინარების ორგანიზებას საქართველოს სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების მონაწილეობით; საქართველოს პარლამენტში ვიზიტორთა პროგრამის (სხვადასხვა სეგმენტზე ორიენტირებული საექსკურსიო ტურები, გიდის თანხლებით) დახვეწას და გამრავალფეროვნებას; საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის სალექციო კურსის შემუშავებას პარლამენტარიზმის შესახებ; ახალგაზრდული და მოდელირებული პარლამენტის ინსტიტუციონალიზაციას, ინოვაციური კონკურსების ორგანიზებას და სხვა აქტივობებს, რაც საზოგადოების მაქსიმალურ ჩართულობას შეუწყობს ხელს და წაახალისებს სამიზნე ჯგუფებთან, მოქალაქეებთან ორმხრივ კომუნიკაციას.

1.6. საზოგადოებრივი განათლების და ცნობიერების ამაღლება საქართველოს პარლამენტის საქმიანობაზე, მის როლსა და მისიაზე; პარლამენტის ინსტიტუციონალური იმიჯისა და როლის გაძლიერება

წამყვანი დაწესებულება		საქართველოს პარლამენტი
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ინიციატორი: საქართველოს პარლამენტის აპარატი
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		საქართველოს პარლამენტი, როგორც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, ქვეყნის დემოკრატიის ერთგვარ გარანტს წარმოადგენს. შესაბამისად, პარლამენტის საკომუნიკაციო სტრატეგია განსაზღვრავს იმ ძირითად ღირებულებებსა და პრინციპებს, რაც ხელს შეუწყობს ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ღია პარლამენტის ინსტიტუციონალიზაციას და ამავდროულად, უზრუნველყოფს პარლამენტის საქმიანობის, როლისა და მისიის შესახებ პროფესიული ინფორმაციის მიწოდებას და საზოგადოების მეტ ჩართულობას კანონშემოქმედებით პროცესში. სტრატეგია განსაზღვრავს, რომ ღიაობის და გამჭვირვალობის პრინციპების ინსტიტუციონალიზაცია, აქტიური მოქალაქეობრივი ჩართულობა, მოქალაქეებთან გახსნილი და გამჭვირვალე კომუნიკაცია საზოგადოების ნდობის მოპოვების და ორმხრივი კომუნიკაციის ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა, რისკენაც მიისწრაფვის საქართველოს პარლამენტი.
მთავარი მიზანი		საქართველოს პარლამენტის ინსტიტუციონალური იმიჯისა და როლის გაძლიერება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების, აქტიური სამოქალაქო ჩართულობისა და საზოგადოებასთან ღია, გამჭვირვალე და ორმხრივი კომუნიკაციის ჩამოყალიბების გზით.
OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება.

შესაბამისობა OGP პრინციპებთან	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	ანგარიშვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაცია
	✓	✓	✓	

ვალდებულების განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
საპარლამენტო ღიაობის კვირეულის დანერგვა	ახალი ვალდებულება	09/2015	12/2016
სტუდენტების ჩართულობა საკანონმდებლო საქმიანობაში	არსებული ვალდებულება	06/2015	12/2016

ვიზიტორთა პროგრამა (საექსკურსიო ტურები გიდის თანხლებით)	არსებული ვალდებულება	01/2015	12/2016
საგანმანათლებლო პროგრამები და სხვ.	ახალი ვალდებულება	09/2015	12/2016
ინდიკატორი	საპარლამენტო ღიაობის კვირეულის და საზოგადოებრივი განათლების პროგრამების დანერგვა, დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება, მათი რეგულარული სრულყოფისა და გამრავალფეროვნების გათვალისწინებით.		
რისკები და ვარაუდები			

2. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

2.1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საპარლამენტო ინფორმაციაზე წვდომის გამარტივება

მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერების მიზნით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი მონაწილეობის გააქტიურება, ვინც მოქალაქეთა მოწყვლად კატეგორიას მიეკუთვნება. კერძოდ, მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს მიეცეთ საპარლამენტო საქმიანობაში უფრო აქტიური ჩართვის შესაძლებლობა.

„ღია მმართველობის გზამკვლევი“ ითვალისწინებს ინფორმაციის გავრცელების მასშტაბის გაზრდის მიზნით სამიზნე ჯგუფად მოწყვლადი კატეგორიების გამოყოფას. აღნიშნული განსაზღვრულია მესამე საფეხურის სარეკომენდაციო ვალდებულებით. შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები შედიან სწორედ მოწყვლად ჯგუფში, რომელსაც სჭირდება საპარლამენტო დოკუმენტაციის სპეციალური საშუალებებით მიწოდება.

აღსანიშნავია, რომ „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ინიციატივაში ჩართულ ქვეყნების ერთ ნაწილს უკვე გადადგმული აქვს ქმედითი ნაბიჯები ამ მიმართულებით. ასე მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის საკანონმდებლო დოკუმენტებზე წვდომის გამარტივება გათვალისწინებულია საბერძნეთის სამოქმედო გეგმის პირველი ვალდებულებით, რომელიც გულისხმობს საკანონმდებლო პროცესის დოკუმენტირებას.

საქართველოს პარლამენტის მიერ აღებული ვალდებულება მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ინფორმაციაზე წვდომის გამარტივების კონცეფციის შემუშავებას და აღნიშნული კონცეფციის განხორციელებისათვის აუცილებელი ბიუჯეტის შედგენას. აღნიშნული ვალდებულების საბოლოო ამოცანას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სპეციალური ვებგვერდის ან უშუალოდ პარლამენტის ვებგვერდის საშუალებით დოკუმენტაციაზე წვდომის გამარტივება.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს პარლამენტი
განხორციელების ვადა: 2016 წელი

2.1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საპარლამენტო დოკუმენტაციაზე წვდომის გამარტივება

წამყვანი დაწესებულება		საქართველოს პარლამენტი
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	შინაგან საქმეთა სამინისტრო
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ინიციატორი: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებმა განაცხადეს თანხმობა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს პარლამენტი უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის საპარლამენტო დოკუმენტაციაზე წვდომის გამარტივებას. საპარლამენტო დოკუმენტაციაზე წვდომის გამარტივება უნდა მოხდეს პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით; შესაბამისად, აუცილებელია შეიქმნას შესაბამისი პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საპარლამენტო დოკუმენტაციაზე წვდომის გაადვილებას.
მთავარი მიზანი		შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საპარლამენტო დოკუმენტაციაზე წვდომის გამარტივების კონცეფციის შემუშავება და ამ მიზნის მისაღწევად გადასადგმელი ნაბიჯების ბიუჯეტირება.
OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება

შესაბამისობა OGP პრინციპებთან	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	ანგარიშვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაციები
	✓	✓	✓	✓

ვალდებულების განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
კონცეფციისა და ბიუჯეტის შემუშავება	ახალი ვალდებულება	09/2015	09/2016

ინდიკატორი	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საპარლამენტო დოკუმენტაციაზე წვდომის გამარტივების კონცეფცია მომზადებულია; ამ მიზნის მისაღწევად გადასადგმელი ნაბიჯებისთვის დეტალური ბიუჯეტი შემუშავებულია.

რისკები და ვარაუდები	არსებობს რისკი, რომ კონცეფციაში სრულად არ იქნეს გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მოთხოვნები; ასევე, არსებობს რისკი, რომ მიუხედავად კონცეფციის და ბიუჯეტის შემუშავებისა, არ გაიოლდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საპარლამენტო დოკუმენტაციაზე წვდომა; ასევე, არსებობს რისკი, რომ კონცეფციის პრაქტიკაში ამუშავებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საპარლამენტო დოკუმენტაციაზე წვდომის გაადვილების მიუხედავად, არ გაიზარდოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჩართულობა საპარლამენტო საქმიანობაში. ამ უკანასკნელის საპასუხოდ, სწორი საზოგადოებრივი კამპანიის წარმართვის შემთხვევაში, შემცირდება ნაკლები ჩართულობის რისკი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მსგავსი მიდგომა საქართველოში უკვე დანერგილია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ - http://voice.police.ge/police/ არსებობს შესაბამისი ტექნოლოგიებიც. ასე რომ, სრულიად შესაძლებელია თანამშრომლობის ფორმატის შექმნა და ამ ვალდებულების განხორციელება.

2.2. საპარლამენტო კომიტეტების წლიური ანგარიშებისა და დასკვნების პროაქტიული გამოქვეყნება

2.2. საპარლამენტო კომიტეტების წლიური ანგარიშებისა და დასკვნების პროაქტიული გამოქვეყნება		
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს პარლამენტი
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ინიციატორი: საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		პარლამენტის ვებგვერდზე ოპერატიულად თავსდება კომიტეტებისა და პლენარული სხდომების მოკლე აღწერილობა და პრესრელიზები; პარლამენტის ვებგვერდზე შესაძლებელია 2014 წლის ანონსების არქივის ნახვა, აგრეთვე საკომიტეტო მოსმენებისა და პლენარული სხდომების თვალყურის დევნება; ვებ გვერდს დაემატა გადახვევის ფუნქცია. ცალკეული საპარლამენტო კომიტეტის მიერ მომზადებული ანგარიშები, დასკვნები და განცხადებები ხელმისაწვდომი და ადვილად სანახავია პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე. თუმცა საპარლამენტო კომიტეტების ყოველწლიური ანგარიშები ვებგვერდზე ან საერთოდ არ ქვეყნდება, ან ქვეყნდება მოგვიანებით. აგრეთვე, პარლამენტის ვებგვერდზე არ დევს წამყვანი და სავალდებულო კომიტეტების დასკვნები.
მთავარი მიზანი		საკანონმდებლო პროცესის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა.
OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება

შესაბამისობა OGP პრინციპებთან	ინფორმაციის ხელმისაწვ-დომობა	ანგარიშვალ-დებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნო-ლოგიები და ინოვაცია
	✓	✓		
ვალდებულების განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	
პარლამენტის რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების შეტანა	ახალი ვალდებულება	2015	2015	
საპარლამენტო ვებგვერდზე დროულად განთავსდეს კომიტეტების წლიური ანგარიშები	ახალი ვალდებულება	2015	2015	
საპარლამენტო ვებგვერდზე დროულად განთავსდეს წამყვანი და სავალდებულო კომიტეტების დასკვნები	ახალი ვალდებულება	2015	2015	
ინდიკატორი	პარლამენტის ვებგვერდზე კომიტეტების ანგარიშებისა და წამყვანი და სავალდებულო კომიტეტების დასკვნების განთავსება.			
რისკები და ვარაუდები				

2.3. კანონშემოქმედებით პროცესში კონსულტაციების ჩატარების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება და მიღება

დროული და ორგანიზებული კონსულტაციების პროცესი წარმოადგენს გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული საპარლამენტო საქმიანობის წინაპირობას. კანონშემოქმედებით პროცესში რეალური ჩართულობა უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების სათანადო ხარისხით წარმართვისათვის. საზოგადოების შესაძლებლობა, იყოს საკანონმდებლო პროცესის უშუალო მონაწილე, ხელს უწყობს განხორციელებულ ცვლილებებზე მფლობელობის განცდის ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ, საკითხისადმი ვალდებულების ხარისხს ზრდის. მართალია, დღეს არსებული მდგომარეობით, როგორც პარლამენტი, ასევე მთავრობა ხასიათდება ზოგადი განზრახვით - ჩართონ დაინტერესებული პირები კანონშემოქმედებით საქმიანობაში, თუმცა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების ჩატარების ერთიანი მარეგულირებელი ჩარჩოს არარსებობის ფონზე, აღინიშნება პრაქტიკის არაერთგვაროვნება. სამართლიანია აღინიშნოს, რომ წარმოებული კონსულტაციები, რიგ შემთხვევაში, სიტუაციურ ხასიათს ატარებს და უპირობოდ დამოკიდებულია პარლამენტსა თუ მთავრობაში გადაწყვეტილების მიმღებ პირთა დისკრეციაზე. ასევე, რეგულირების მიღმაა დარჩენილი ისეთი ფუნდამენტური ხასიათის საკითხები, რომლებიც მეტწილად განაპირობებს კონსულტაციის ჩატარების მნიშვნელობასა და არსს. ასეთ საკითხებს წარმოადგენს - კანონშემოქმედებითი საქმიანობის რა ეტაპზეა საჭირო კონსულტაციების არსებობა, როგორ უნდა მოხდეს პროცედურის ორგანიზება, ვინ უნდა იქნეს მოწვეული საკონსულტაციოდ, როგორ და რა სახით მოხდება წარმოდგენილი შენიშვნების ასახვა თუ უგულვებელყოფა, უნდა განხორციელდეს თუ არა კონსულტაციის მიზნით ორგანიზებული შეხვედრის დოკუმენტირება და სხვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონშემოქმედებითი საქმიანობისას პროცესის ჩართულობის უზრუნველყოფისა და კონსულტაციების სრულყოფილი პროცედურის დანერგვის მიზნით, მნიშვნელოვანია

საქართველოს პარლამენტმა შეიმუშაოს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების ჩატარების ერთიანი მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც ზედმიწევნით განსაზღვრავს კანონშემოქმედებით საქმიანობაში დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტირების სხვადასხვა ასპექტს.

საგულისხმოა, რომ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს მიერ მომზადებული ანგარიში - საკანონმდებლო პროცესის შეფასება საქართველოში, ასევე ეხმიანება ზემოთ დასახელებულ პრობლემას, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მის აქტუალურობას.

2.3. კანონშემოქმედებით პროცესში კონსულტაციების ჩატარების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება და მიღება

წამყვანი დაწესებულება		საქართველოს პარლამენტი			
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება				
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ინიციატორი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		დღეს არსებული მდგომარეობით, არ არსებობს კანონშემოქმედებით საქმიანობაში კონსულტაციების ჩატარების მარეგულირებელი ჩარჩო, რაც პროცესს მეტწილად არაერთგვაროვანს ხდის. საკითხის ზედმიწევნით რეგულირებისა და საზოგადოების სრულყოფილი ჩართულობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია საქართველოს პარლამენტმა შეიმუშაოს და მიიღოს საკითხის მარეგულირებელი ერთიანი საკანონმდებლო ჩარჩო.			
მთავარი მიზანი		კანონშემოქმედებით პროცესში კონსულტაციების ჩატარების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება და მიღება.			
OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება და საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება.			
შესაბამისობა OGP პრინციპებთან		ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	ანგარიშვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაცია
		✓	✓	✓	
ვალდებულების განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	
საერთაშორისო სტანდარტებისა და გამოცდილების გათვალისწინებით მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს კონცეფციის შემუშავება		ახალი ვალდებულება	09/2015	12/2015	
მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს მიღება პარლამენტის მიერ		ახალი ვალდებულება	01/2016	12/2016	
ინდიკატორი		მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო მიღებულია პარლამენტის მიერ.			
რისკები და ვარაუდები		კონსენსუსის არარსებობა პარლამენტის წევრებს შორის.			

2.4. კანონპროექტის განხილვისას, პირველად ტექსტში შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვა და მათი დროული გამოქვეყნება საკანონმდებლო ორგანოს ვებგვერდზე

კანონშემოქმედებით პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, კანონპროექტისთვის სათანადო მსვლელობის მიცემის შემდეგ, არსებობდეს მასში შეტანილი ცვლილებების სწრაფად ასახვის შესაძლებლობა. ამავდროულად, საჭიროა განხორციელებული ცვლილებები პირველად ტექსტში აისახოს ხილვად ფორმატში, რომელიც დააფიქსირებს ტექსტში ცვლილებას და აჩვენებს როგორც თავდაპირველ, ისე შესწორებულ ტექსტს. აღნიშნული საშუალებას მისცემს ყველა დაინტერესებულ მხარეს დროულად ადევნოს თვალყური კანონპროექტის ტრანსფორმირებას პირველიდან მესამე მოსმენამდე ინტერვალში. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საკითხი დაკავშირებულია არა მხოლოდ საზოგადოებისა თუ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა ჩართულობის უზრუნველყოფასთან, არამედ თავად პარლამენტის წევრების თუ აპარატის თანამშრომლების დროულ ინფორმირებასთან. ცალსახაა, რომ სხვადასხვა ნაბეჭდი ვერსიის გავრცელების ამჟამინდელი პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს პროცესში ჩართული მხარეების საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვას, ისევე როგორც, ვერ აკმაყოფილებს მათ ინფორმაციულ საჭიროებებს.

საკითხს, ასევე, ეხმიანება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს მიერ მომზადებული ანგარიში - საკანონმდებლო პროცესის შეფასება საქართველოში, სადაც აღნიშნულია, ***რომ სრულყოფილი ელექტრონული საინფორმაციო სისტემის არარსებობა პარლამენტში ართულებს კანონპროექტში შესული შესწორებების თვალყურის მიდევნებას, მათ შინაარსზე ხელმისაწვდომობას და არსებული კანონების ავტომატურ განახლებას პროექტში შესწორებების მიღების შემდეგ. ეს მთლიან პროცესს ძალზე მძიმეს ხდის კანონშემოქმედებით პროცესში დაინტერესებულ მხარეთათვის როგორც პარლამენტის შიგნით, ისე მის გარეთ. ერთ-ერთი გზა ამ სიტუაციის გამოსწორებისა იქნებოდა ისეთი ელექტრონული სისტემის დანერგვა, რომელიც ორი დოკუმენტის შედარებისა და ცვლილებების ჩვენების საშუალებას იძლევა მესამე, ცალკე დოკუმენტში (როგორც მაიკროსოფტის პროგრამა, რომელიც აჩვენებს ორიგინალში ჩამატებულ შესწორებებს), შესადარებელ დოკუმენტში ცვლილებების შეტანის გარეშე.***

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკანონმდებლო პროცესის ყველა ეტაპზე საზოგადოებისა თუ სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პარლამენტში დაინერგოს ელექტრონული სისტემა, რომელიც კანონპროექტის პირველად ტექსტში შეტანილ ცვლილებებს ხილვად ფორმატში ასახავს და უზრუნველყოფს მათ საჯარო ხელმისაწვდომობას დროის მცირე მონაკვეთში.

2.4. კანონპროექტის განხილვისას, პირველად ტექსტში შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვა და მათი დროული გამოქვეყნება საკანონმდებლო ორგანოს ვებგვერდზე

წამყვანი დაწესებულება		საქართველოს პარლამენტი			
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება				
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ინიციატორი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		არსებული მდგომარეობით, პარლამენტში არ არსებობს სათანადო დონეზე ფუნქციური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კანონპროექტის პირველად ტექსტში განხილვის შედეგად შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვას და მათ დროულ გამოქვეყნებას პარლამენტის ვებგვერდზე. შესაბამისად, რიგ შემთხვევაში როგორც დაინტერესებული მხარეები, ასევე პარლამენტის აპარატის თანამშრომლები თუ დეპუტატები მოკლებული არიან კანონპროექტში შეტანილი ცვლილებების ელექტრონულ ფორმატში ხილვის შესაძლებლობას. აღნიშნული ერთმნიშვნელოვნად აფერხებს პროცესის მონაწილე აქტორების სათანადო ჩართულობას კანონშემოქმედებით საქმიანობაში.			
მთავარი მიზანი		ელექტრონული სისტემის კონცეფციის შემუშავება და ბიუჯეტირება, რომელიც უზრუნველყოფს კანონპროექტის განხილვის შედეგად მასში შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვას და მათ დროულ გამოქვეყნებას პარლამენტის ვებგვერდზე.			
OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება.			
შესაბამისობა OGP პრინციპებთან		ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	ანგარიშვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაცია
		✓	✓	✓	✓
ვალდებულების განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	
კონცეფციისა და ბიუჯეტის შემუშავება		ახალი ვალდებულება	09/2015	09/2016	
ინდიკატორი		კონცეფცია შემუშავებულია.			
რისკები და ვარაუდები		მხარეთა არასაკმარისი ჩართულობა კონცეფციის და ბიუჯეტის შემუშავებასთან დაკავშირებით.			

2.5. პარლამენტის მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის განახლება

2.5. პარლამენტის მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის განახლება					
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს პარლამენტი			
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება				
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ინიციატორები: თამარ კორძაია (საქართველოს პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის წევრი) და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		საპარლამენტო კონტროლის განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა დეპუტატის უფლება კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს - საქართველოს მთავრობას, საქართველოს მთავრობის წევრებს, ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ყველა დონის ხელმძღვანელს, სახელმწიფო დაწესებულებას; მიიღოს და შეაფასოს პასუხები. შეკითხვის დასმა ხდება მხოლოდ წერილობითი ფორმით. თითოეული სამთავრობო სტრუქტურა და თანამდებობის პირი, რომელსაც შეკითხვით მიმართეს, ვალდებულია, პარლამენტს შეკითხვის მიღებიდან 15 დღეში წარუდგინოს წერილობითი პასუხი. სამწუხაროდ, სადეპუტატო შეკითხვებთან დაკავშირებული სტატისტიკა (ინფორმაცია გაგზავნილი შეკითხვებისა და მიღებული პასუხების მაჩვენებლების შესახებ) და პარლამენტის მიერ მიღებული პასუხები ვებგვერდზე არ ქვეყნდება. ამავდროულად, საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა საგარეო პოლიტიკის განსაზღვრა. ამ ფუნქციიდან გამომდინარე, პარლამენტი აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო ურთიერთობებში საპარლამენტო დელეგაციებისა და მეგობრობის ჯგუფების სახით. დღეის მდგომარეობით, საზოგადოებას ძალზე მწირი ინფორმაცია მიეწოდება ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. ამიტომ აუცილებელია მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, განისაზღვროს საპარლამენტო დელეგაციებისა და მეგობრობის ჯგუფების მიერ წლიური ანგარიშების მომზადებისა და პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება.			
მთავარი მიზანი		პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდეს ადვილად დამუშავებად ფორმატში სადეპუტატო შეკითხვებთან დაკავშირებული სტატისტიკა, გაგზავნილი შეკითხვები და მიღებული პასუხები, საქართველოს პარლამენტის დელეგაციებისა და მეგობრების ჯგუფების საქმიანობის ანგარიშები.			
OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება.			
შესაბამისობა OGP პრინციპებთან		ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	ანგარიშვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაცია
		✓	✓		

ვალდებულების განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
პარლამენტის ვებგვერდზე დაიწყება სადეპუტატო შეკითხვებთან დაკავშირებული სტატისტიკის პროაქტიულად გამოქვეყნება	ახალი ვალდებულება	09/2015	
პარლამენტის ვებგვერდზე დაიწყება სადეპუტატო შეკითხვების და მათზე მიღებული პასუხების პროაქტიული გამოქვეყნება	ახალი ვალდებულება	09/2015	
მომზადდება საპარლამენტო დელეგაციებისა და მეგობრობის ჯგუფების შესახებ ყოველწლიური ანგარიშები და მოხდება მათი პარლამენტის ვებგვერდზე პროაქტიული გამოქვეყნება	ახალი ვალდებულება	09/2015	09/2016
ინდიკატორი	1. სადეპუტატო შეკითხვებთან დაკავშირებული სტატისტიკა პროაქტიულად გამოქვეყნებულია პარლამენტის ვებგვერდზე; 2. თითოეული პასუხი სადეპუტატო შეკითხვაზე პროაქტიულად გამოქვეყნებულია პარლამენტის ვებგვერდზე; 3. მომზადებულია და პროაქტიულად გამოქვეყნებულია საპარლამენტო დელეგაციებისა და მეგობრობის ჯგუფების ყოველწლიური ანგარიში.		
რისკები და ვარაუდები			

2.6. განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება

2.6. განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება					
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს პარლამენტი			
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება				
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ინიციატორი: საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		საპარლამენტო ანგარიშვალდებულებისა და კანონშემოქმედებით პროცესში სამოქალაქო ჩართულობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია კანონპროექტის განმარტებითი ბარათები. განმარტებითი ბარათი უნდა იყოს არგუმენტირებული, ინფორმაციული და დასაბუთებული. მიზანშეწონილია გაუმჯობესდეს განმარტებითი ბარათის შევსების ერთიანი სტანდარტი. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება კანონპროექტის მიღების მიზნის, ძირითადი არსის და ფინანსური მხარის სრულყოფილად დასაბუთება.			
მთავარი მიზანი		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება.			
OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება.			
შესაბამისობა OGP პრინციპებთან		ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	ანგარიშვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაცია
		✓	✓		
ვალდებულების განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	
გაიმართოს საჯარო კონსულტაციები ერთიანი სტანდარტის შემუშავების მიზნით		ახალი ვალდებულება	09/2015	03/2016	
პარლამენტის ბიურომ უზრუნველყოს შესაბამისი ინსტრუქციის მიღება განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესების და შევსების ერთიანი სტანდარტის დამკვიდრების მიზნით		ახალი ვალდებულება	03/2016	06/2016	
ინდიკატორი		1. საჯარო კონსულტაციები ჩატარებულია; 2. ინსტრუქცია დამტკიცებულია; 3. ერთიანი სტანდარტი გაუმჯობესებულია.			
რისკები და ვარაუდები					

3. ტექნოლოგიები და ინოვაცია

3.1. პარლამენტის ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება

3.1. პარლამენტის ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება					
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს პარლამენტი			
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	სსიპ საკანონმდებლო მაცნე			
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ინიციატორები: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო.			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		მიუხედავად იმისა, რომ დღეის მდგომარეობით ხდება საპარლამენტო დოკუმენტაციის ნაწილის პარლამენტის ვებგვერდზე გასაჯაროება, პრობლემას წარმოადგენს ამ დოკუმენტაციის შემდგომი გამოყენება. პრობლემის მთავარი მიზეზია დოკუმენტაციის დიდი ნაწილის (მაგალითად, პარლამენტის დადგენილებების, რეზოლუციების, განცხადებების, მიმართვების, კანონპროექტების და მათთან დაკავშირებული დოკუმენტაციის და ა. შ.) ე. წ. PDF ფორმატში გამოქვეყნება, რაც აბრკოლებს დოკუმენტებში არსებული მონაცემების შემდგომ დამუშავებას, დოკუმენტებში არსებული ინფორმაციის საძიებო სისტემებში ძებნის გაადვილებას.			
მთავარი მიზანი		„ღია მმართველობის გზამკვლევი“ განასხვავებს, ერთი მხრივ, ინფორმაციაზე წვდომას და, მეორე მხრივ, გამოქვეყნებული ინფორმაციის აღქმას და ეფექტურად გამოყენებას. შესაბამისად, აუცილებელია პარლამენტის ვებგვერდზე დოკუმენტაციის როგორც ღია, ასევე ადვილად დასამუშავებელ ფორმატში (მაგალითად, HTML / MS Word) განთავსება მათი შემდგომი გამოყენების მიზნით.			
OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება			
შესაბამისობა OGP პრინციპებთან		ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	ანგარიშვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაცია
		✓	✓	✓	✓
ვალდებულების განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	
რეგლამენტში ცვლილების შეტანა		ახალი ვალდებულება	10/2015	10/2015	

3.1. პარლამენტის ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება			
პარლამენტის ვებგვერდზე საკანონმდებლო დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება (HTML; Word)	ახალი ვალდებულება	10/2015	07/2016
ინდიკატორი	2016 წლის ბოლოსთვის პარლამენტის ვებგვერდზე PDF ფორმატში გამოქვეყნებული დოკუმენტაციის მინიმუმამდე დაყვანა. კანონპროექტების და მათთან დაკავშირებული დოკუმენტების, დადგენილებების პროექტების და რეზოლუციების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში გამოქვეყნება.		
რისკები და ვარაუდები	აღნიშნული ვალდებულება მიმართულია საზოგადოებრივი ჩართულობის გაძლიერებისკენ და ვვარაუდობთ, რომ მისი განხორციელება არ მოითხოვს პარლამენტის ვებგვერდზე ძირეული ცვლილებების განხორციელებას.		

3.2. ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვა; ახალგაზრდების, ეთნიკური უმცირესობებისა და სხვა ინტერეს-ჯგუფების საპარლამენტო საქმიანობაში ჩართულობის გაზრდა; საზოგადოებასთან ორმხრივი კომუნიკაციის გაძლიერება.

საქართველოს პარლამენტის საკომუნიკაციო სტრატეგია, რომელიც შემუშავდა საქართველოს პარლამენტის, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის - „საპარლამენტო დემოკრატიის სისტემის გაძლიერება საქართველოში“ - მხარდაჭერით, განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის მთავარ ამოცანებს და კომუნიკაციის პრინციპებს. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი ის აქტივობები, რომელთა განხორციელებაც: ა) ხელს შეუწყობს პარლამენტის საქმიანობაზე, მის როლსა და მისიაზე საზოგადოებრივი განათლების და ცნობიერების ამაღლებას; ბ) უზრუნველყოფს პარლამენტის კანონშემოქმედებით საქმიანობასა და პროგრამებში დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას; და გ) შექმნის ხელსაყრელ გარემოს და გააუმჯობესებს საზოგადოებასთან ორმხრივ კომუნიკაციას ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვის გზით.

აღნიშნული საკომუნიკაციო სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია პარლამენტის სოციალური მედიის სტრატეგია. მასში განსაზღვრული დამატებითი მიზნების განხორციელებით, გათვალისწინებულია, რომ საქართველოს პარლამენტისა და მისი საქმიანობის შესახებ სოციალური მედიის არხებით გავრცელებული ინფორმაცია გახდება უფრო ხელმისაწვდომი, მრავალფეროვანი და საინტერესო.

საპარლამენტო საქმიანობაში, მათ შორის კანონშემოქმედებით პროცესში, საზოგადოების აქტიური მონაწილეობისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე, კომუნიკაციის სხვადასხვა პლატფორმისა და არხის საშუალებით მოქალაქეთათვის დროული, რეგულარული და პროფესიული ინფორმაციის მიწოდების მიზნით, საქართველოს პარლამენტი გეგმავს მრავალფეროვანი საკომუნიკაციო მასალების შემუშავებას და ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვას. ღია, გამჭვირვალე, ორმხრივი და ინტერაქციაზე დაფუძნებული კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად, გათვალისწინებულია პარლამენტის ელექტრონული სიახლეების მოდულის შექმნა და მისი წინასწარ განსაზღვრული რეგულარობით, ავტომატურ რეჟიმში გავრცელება ხელმომწერებს შორის; სხვადასხვა ინტერაქტიული მოდულის/ფუნქციის დამატება პარლამენტის არსებულ ვებპორტალზე; პარლამენტის საინფორმაციო-საგანმანათლებლო ვირტუალური ტურის შექმნა; პარლამენტის ვებსერვისების

მობილური აპლიკაციის შექმნა; პარლამენტის ვებგვერდის რესტრუქტურიზაციის პროექტის მომზადება. ზემოაღნიშნული ინიციატივების განხორციელება ხელს შეუწყობს პარლამენტის საქმიანობის პოპულარიზაციას, საზოგადოებასთან ორმხრივი, ეფექტური კომუნიკაციის დამყარებას, სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერებას და სხვადასხვა ინტერეს-ჯგუფთან ინტერაქციის გაუმჯობესებას.

3.2. ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვა; ახალგაზრდების, ეთნიკური უმცირესობებისა და სხვა ინტერეს-ჯგუფების საპარლამენტო საქმიანობაში ჩართულობის გაზრდა; საზოგადოებასთან ორმხრივი კომუნიკაციის გაძლიერება

წამყვანი დაწესებულება		საქართველოს პარლამენტი			
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება				
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ინიციატორი: საქართველოს პარლამენტის აპარატი.			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		საქართველოს პარლამენტი, როგორც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, ქვეყნის დემოკრატიის ერთგვარ გარანტს წარმოადგენს. შესაბამისად, პარლამენტის საკომუნიკაციო სტრატეგია განსაზღვრავს იმ ძირითად ღირებულებებს და პრინციპებს, რაც ხელს შეუწყობს ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული, ღია პარლამენტის ინსტიტუციონალიზაციას და ამავდროულად, უზრუნველყოფს პარლამენტის საქმიანობის, როლისა და მისიის შესახებ პროფესიული ინფორმაციის მიწოდებას და საზოგადოების მეტ ჩართულობას კანონშემოქმედებით პროცესში. სტრატეგია განსაზღვრავს, რომ ღიაობის და გამჭვირვალობის პრინციპების ინსტიტუციონალიზაცია, აქტიური მოქალაქეობრივი ჩართულობა, მოქალაქეებთან გახსნილი და გამჭვირვალე კომუნიკაცია საზოგადოების ნდობის მოპოვების და ორმხრივი კომუნიკაციის ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა, რისკენაც მიისწრაფვის საქართველოს პარლამენტი.			
მთავარი მიზანი		ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვის გზით აქტიური სამოქალაქო ჩართულობისა და საზოგადოებასთან ღია, გამჭვირვალე და ორმხრივი კომუნიკაციის წახალისება.			
OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება.			
შესაბამისობა OGP პრინციპებთან		ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	ანგარიშვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაცია
		✓	✓	✓	✓
ვალდებულების განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი		დასრულ-ლების თარიღი
ელექტრონული სიახლეების მოდულის შექმნა		ახალი ვალდებულება	09/2015		12/2015

3.2. ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვა; ახალგაზრდების, ეთნიკური უმცირესობებისა და სხვა ინტერეს-ჯგუფების საპარლამენტო საქმიანობაში ჩართულობის გაზრდა; საზოგადოებასთან ორმხრივი კომუნიკაციის გაძლიერება			
სხვადასხვა ინტერაქტიული მოდულის/ფუნქციის დამატება პარლამენტის არსებულ ვებპორტალზე	ახალი ვალდებულება	09/2015	12/2016
პარლამენტის საინფორმაციო-საგანმანათლებლო ვირტუალური ტურის შექმნა	ახალი ვალდებულება	01/2016	09/2016
პარლამენტის ვებსერვისების მობილური აპლიკაციის შექმნა	ახალი ვალდებულება	09/2015	09/2016
პარლამენტის ვებგვერდის რესტრუქტურიზაციის პროექტის მომზადება	ახალი ვალდებულება	09/2015	12/2016
ინდიკატორი	1. შექმნილია ელექტრონული სიახლეების მოდული; 2. საჭიროებისამებრ, შექმნილია დამატებითი ინტერაქტიული მოდულები/ფუნქციები; 3. შექმნილია პარლამენტის საინფორმაციო-საგანმანათლებლო ვირტუალური ტური; 4. შექმნილია პარლამენტის ვებსერვისების მობილური აპლიკაცია; 5. შექმნილია პარლამენტის ვებგვერდის რესტრუქტურიზაციის პროექტი.		
რისკები და ვარაუდები	საჭირო ფინანსური თანხების არარსებობა, შეზღუდული საბიუჯეტო სახსრები/დონორთა ფონდები ინოვაციური პროექტების განსახორციელებლად.		

4. ანგარიშვალდებულება

4.1. ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შექმნა

„ღია მმართველობის გზამკვლევში“ აღნიშნულია, რომ პარლამენტმა მუდმივად უნდა განაახლოს ღიაობის, გამჭვირვალობისა და სამოქალაქო ჩართულობის თვალსაზრისით აღებული ვალდებულებები.[9] სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებების გათვალისწინებით, საჭიროა პერიოდულად გადაიხედოს პარლამენტის პოლიტიკა მოქალაქეების ჩართულობასთან დაკავშირებით. ამავდროულად, სასარგებლოა, როდესაც პერიოდული გადახედვის პროცესი ინსტიტუციონალიზებულია. აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად, „ღია მმართველობის გზამკვლევი“ გვთავაზობს პარლამენტში ახალი კომიტეტის შექმნის ან უკვე არსებული კომიტეტისთვის ან სხვა ორგანოსთვის ოფიციალური ვალდებულების მინიჭების რეკომენდაციას, რომ განახორციელოს საპარლამენტო ღიაობის და მოქალაქეების ჩართულობისკენ მიმართული ქმედებების მუდმივი მონიტორინგი.[10] აღნიშნულ სარეკომენდაციო ვალდებულებასთან მიმართებაში საინტერესოა ჩილესა და მექსიკის გამოცდილება.[11] ამ ქვეყნის პარლამენტებში, გამჭვირვალობისა და ღიაობის ვალდებულების ინსტიტუციონალიზაციისთვის, შექმნეს ახალი კომიტეტები ან ეს ფუნქციები მიანიჭეს უკვე არსებულ კომიტეტებს, მაგალითად, როგორც ეს მოხდა ჩილეს „გამჭვირვალობის ორპალატიანი კომიტეტისა“[12] და მექსიკის სენატის „ინფორმაციისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის კომიტეტის“[13] შემთხვევაში.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს პარლამენტი
განხორციელების ვადა: 2015 წელი

9. ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 235, http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf.
10. ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 236, http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf.
11. ღია მმართველობის გზამკვლევი, გვ. 236, http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2013/09/all-topics.pdf.
12. Republica de Chile Senado, http://www.senado.cl/prontus_senado/site/artic/20130729/pags/20130729134800.html.
13. LXII Legislatura – Senado De La Republica, http://transparencia.senado.gob.mx/index.php?option=com_content&view=article&id=8&Itemid=117.

4.1. ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შექმნა

წამყვანი დაწესებულება		საქართველოს პარლამენტი
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ინიციატორი: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის საქართველოს პარლამენტის წევრებმა განაცხადეს თანხმობა, რომ საქართველოს პარლამენტში დაარსდეს „ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საბჭო“, რომელიც უნდა შეიქმნას უკვე მოქმედი ინტერ-ფრაქციული ჯგუფის საფუძველზე და პრინციპებზე. კერძოდ, დაკომპლექტებული უნდა იყოს საქართველოს პარლამენტის წევრებით და „საკონსულტაციო საბჭოთი“. „საკონსულტაციო საბჭო“ დაკომპლექტებული იქნება სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებით. „ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საბჭოს“ უნდა ჰყავდეს ორი თანათავმჯდომარე, რომელთაგან ერთი იქნება საქართველოს პარლამენტის წევრი, ხოლო მეორე - სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი. ერთ-ერთი ფუნქცია, რომელსაც საბჭო განახორციელებს, იქნება „საპარლამენტო ღიაობის“ სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელების მონიტორინგი, მათ შორის, უკვე მიღებული „საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის“ შესრულების მონიტორინგი.
მთავარი მიზანი		ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შექმნა.
OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება.

შესაბამისობა OGP პრინციპებთან	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	ანგარიშვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაცია
	✓	✓	✓	

ვალდებულების განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
კონცეფციის შემუშავება	ახალი ვალდებულება	09/2015	10/2015
რეგლამენტში ცვლილების შეტანა	ახალი ვალდებულება	09/2015	10/2015
საბჭოს შექმნა	ახალი ვალდებულება	11/2015	12/2015
ინდიკატორი	ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო შექმნილია.		

რისკები და ვარაუდები	სასურველია, თუ ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ინტერფრაქციული ჯგუფის წევრები, რომელთა მიერ მოხდება „საპარლამენტო ღიაობის“ პირველი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

4.2. საქართველოს პარლამენტის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზება

2012 წლიდან საქართველოში დამკვიდრდა პარლამენტის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრის ტრადიცია. იგი პარლამენტსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის დიალოგის მეტად მნიშვნელოვანი მექანიზმია და ეხმაურება პარლამენტის ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის და მის საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობის პრინციპებს. ყოველწლიური შეხვედრა ეხმიანება ღია მმართველობის პრინციპებს და საერთაშორისო პრაქტიკას. როგორც 2012-2013 წლების შეხვედრებმა აჩვენა, ეს არის პარლამენტსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის დიალოგის ინსტიტუციონალიზებული მექანიზმი და უზრუნველყოფს ამ ორ აქტორს შორის ეფექტურ კომუნიკაციას.

2013 წელს ეს ტრადიცია გამყარდა საქართველოს პარლამენტსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის 2013 წლის 12 დეკემბერს გაფორმებული მემორანდუმით. აღნიშნული ტრადიცია ღია მმართველობის პრინციპებთან სრულ შესაბამისობაშია და აუცილებელია მისი გაგრძელება.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს პარლამენტი

განხორციელების ვადა: 2012 წლიდან ყოველწლიურად

4.2. საქართველოს პარლამენტის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზება		
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს პარლამენტი
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ინიციატორი: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		2012 წლიდან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივით დამკვიდრდა პარლამენტის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრის ტრადიცია. მოგვიანებით, 2013 წელს ეს ტრადიცია გამყარდა საქართველოს პარლამენტსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის 2013 წლის 12 დეკემბერს გაფორმებული მემორანდუმით. აღნიშნულ შეხვედრებზე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს საშუალება ეძლევათ გაუზიარონ პარლამენტის წევრებს მათი ხედვები საჯარო პოლიტიკის ამა თუ იმ ასპექტზე. ეს ტრადიცია პოლიტიკის დიალოგის სივრცის შექმნის ინსტიტუციონალური მექანიზმია, სრულად შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას და აუცილებელია მისი გაგრძელება.
მთავარი მიზანი		პარლამენტის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზება.

4.2. საქართველოს პარლამენტის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზება				
OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება	საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება და კორპორაციული ანგარიშვალდებულების გაზრდა.			
შესაბამისობა OGP პრინციპებთან	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	ანგარიშვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაცია
	✓	✓	✓	
ვალდებულების განხორციელების ეტაპები	ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	
პარლამენტის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრა	ყოველწლიური შეხვედრის ვალდებულება დაფიქსირებულია საქართველოს პარლამენტსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის 2013 წლის 12 დეკემბერს გაფორმებულ მემორანდუმში	12/2012	ტარდება ყოველწლიურად	
ინდიკატორი	პარლამენტის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეხვედრა ტარდება ყოველწლიურად.			
რისკები და ვარაუდები				

4.3. „საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის“ შემუშავება და მიღება

საქართველოს პარლამენტსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის 2013 წლის 12 დეკემბერს გაფორმებული მემორანდუმის პირველი მუხლი ითვალისწინებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის შემუშავებას პარლამენტის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ყველა სხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. აღნიშნული საკითხი პირდაპირ და უშუალოდ ეხმაურება ღია მმართველობის ყველა პრინციპს. „ღია მმართველობის გზამკვლევში“ ცალკე თავი ეთმობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის ღია სივრცის შექმნას. ამ მხრივ 2015 წლისთვის 200 ასეთი ვალდებულებაა დაფიქსირებული ღია მმართველობის პროცესში მონაწილე ქვეყნებში. ეს ინიციატივები, ბუნებრივია, განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და სხვადასხვა ფორმით ვლინდება. საქართველოს პარლამენტის და ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეთანხმებით, ჩვენი რეალობისთვის ყველაზე უპრიანია ამ სივრცის ინსტიტუციონალიზაცია საქართველოს პარლამენტის კონცეფციის ფორმით.

აღსანიშნავია, რომ კონცეფციის პირველადი ვერსია უკვე არსებობს. იგი შემუშავებულია საზოგადოებრივი ორგანიზაციების საინიციატივო ჯგუფის მიერ ფართო მონაწილეობითი პროცესის გზით. სამუშაო ჯგუფმა კონცეფციის პირველადი, სამუშაო ვერსია 2014 წლის ივნისში მოამზადა და საქართველოს 7 ქალაქში (თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, თელავში, გორში, ოზურგეთსა და ზუგდიდში) მოაწყო მისი განხილვა ადგილობრივ სამოქალაქო აქტივისტებთან და ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. რეგიონებში გამართულ შეხვედრებთან ერთად, კონცეფციის განხილვა მიმდინარეობდა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის ფარგლებში. ამასთან, კონცეფციის სამუშაო ვერსიაზე პოზიტიური გამოხმაურება მიღებულია არასამეწარმეო სამართლის ევროპული ცენტრის ექსპერტებისაგან. კონცეფცია მზადაა პოლიტიკური განხილვისათვის.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს პარლამენტი
განხორციელების ვადა: 2015-2016 წლები

4.3. „საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის“ შემუშავება და მიღება					
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს პარლამენტი			
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება				
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ინიციატორი: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა		საქართველოს პარლამენტსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის 2013 წლის 12 დეკემბერს გაფორმებული მემორანდუმის პირველი მუხლი ითვალისწინებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის შემუშავებას ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. კონცეფცია უზრუნველყოფს ქვეყანაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების, როგორც დამოუკიდებელი აქტორების შემდგომი განვითარების სახელმწიფო ხელშეწყობას, და პარლამენტსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის პოლიტიკური დიალოგისათვის სივრცის შექმნას.			
მთავარი მიზანი		საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის შემუშავება და დადგენილი წესით მიღება.			
OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება		საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება და კორპორაციული ანგარიშვალდებულების გაზრდა.			
შესაბამისობა OGP პრინციპებთან		ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	ანგარიშვალდებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაცია
			✓	✓	
ვალდებულების განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	

4.3. „საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის“ შემუშავება და მიღება			
კონცეფციის შემუშავება	კონცეფციის შემუშავების ვალდებულება დაფიქსირებულია საქართველოს პარლამენტსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის 2013 წლის 12 დეკემბერს გაფორმებული მემორანდუმის პირველ მუხლში.	09/2015	12/2015
კონცეფციის განხილვა პარლამენტის მიერ	ახალი ვალდებულება	01/2016	06/2016
ინდიკატორი	კონცეფცია მიღებულია პარლამენტის მიერ დადგენილი წესით.		
რისკები და ვარაუდები			

4.4. საქართველოს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსის შემუშავება

პარლამენტის წევრების მაღალი პროფესიული და ეთიკური სტანდარტები პარლამენტისადმი საზოგადოების ნდობის მოპოვებისა და პარლამენტის წევრების მიერ მათი მოვალეობების ღირსეულად და კეთილსინდისიერად შესრულების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

საპარლამენტო ეთიკის კოდექსი არის ეფექტური საბაზისო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პარლამენტის წევრების ქცევის ნორმებს, როდესაც ისინი საჯარო მოხელეების სტატუსით მოქმედებენ. კოდექსი ნათელ და თანმიმდევრულ დებულებებს უნდა შეიცავდეს იმის თაობაზე, თუ რა არის პარლამენტის წევრებისთვის მისაღები და მიუღებელი ქცევა, პირადი ინტერესების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება, ქონებრივი დეკლარაციების წარდგენა, სახელმწიფო სახსრების გამოყენება და სახელმწიფო შეღავათებით სარგებლობა, და ასევე, პარლამენტის ფარგლებს გარეთ, პარლამენტის წევრობამდე და პარლამენტის წევრობის ვადის ამოწურვის შემდეგ საქმიანობა. ამ დებულებების ეფექტურად აღსრულების მიზნით, საჭიროა შესაბამისმა საპარლამენტო კომიტეტმა დეპუტატებს კონსულტაციები გაუწიოს ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან მათი ქცევის შესაბამისობაზე. ამ კომიტეტმა ასევე უნდა განახორციელოს პარლამენტში დეპუტატთა ქცევის მონიტორინგი, განიხილოს დეპუტატთა მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევის შესახებ საჩივრები და საჭიროებისამებრ დააკისროს დეპუტატებს სანქციები კონკრეტული ეთიკური ნორმების დარღვევისთვის. ასეთი კოდექსის არსებობა საზოგადოებასა და მედიას პარლამენტის წევრების ქცევის შეფასების ნათელ კრიტერიუმებს შესთავაზებს და, ამავდროულად, გააუმჯობესებს ქვეყნის რეპუტაციას საერთაშორისო ასპარეზზე საჯარო სამსახურში კორუფციასთან და არაეთიკურ ქცევასთან ბრძოლის კუთხით.
საქართველოს პარლამენტმა არასავალდებულო ხასიათის ეთიკის კოდექსი 2004 წელს მიიღო. ასეთი სისტემა ეფექტური არ გამოდგა, რადგან დეპუტატთა არაეთიკური ქცევა საქართველოს პარლამენტის წინაშე არსებულ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება 2004 წლის საპარლამენტო ეთიკის კოდექსის მიღების შემდეგაც. პრობლემას წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ არ არსებობს დეპუტატთა არაეთიკურ ქცევაზე რეაგირების მექანიზმი და მოქალაქეებს არ აქვთ საშუალება, რომ კონკრეტულ ფაქტებზე საჩივარი შეიტანონ.

ამ პრობლემის გადასაჭრელად და საქართველოს პარლამენტის საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ამაღლების მიზნით, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) რეკომენდაციას უწევს პარლამენტს, მიიღოს სავალდებულო ეთიკის კოდექსი მისი წევრებისთვის. აღნიშნული რეკომენდაცია პასუხობს „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ვალდებულებას (საჯარო სამსახურში კეთილსინდისიერების გაზრდა) და ასევე, საპარლამენტო ღიაობის დეკლარაციის პრინციპებს (ქონების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება და წევრების კეთილსინდისიერების უზრუნველყოფა (#24), არაეთიკური ქცევისა და ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება (#25)).

საპარლამენტო ეთიკის კოდექსი საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც პარლამენტის წევრების პროფესიული და ეთიკური სტანდარტების ამაღლების ეფექტური ინსტრუმენტი, რომელიც დახმარებას უწევს მათ ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული სიტუაციების დარეგულირებაში და იმ პირადი გამოწვევებისა და დილემების გადაჭრაში, რომელიც მათ შესაძლოა საჯარო სამსახურში დაკისრებული მოვალეობების შესრულების დროს წარმოეშვათ. ეთიკურ საკითხებთან მიმართებაში ნათელი და აღსრულებადი დებულებების შემუშავების გზით საქართველოს პარლამენტი გაზრდის თავისი წევრების ანგარიშვალდებულებას ამომრჩევლების წინაშე და აჩვენებს, რომ დეპუტატები უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ იმას, თუ როგორ აღიქმებიან ისინი საზოგადოების თვალში. ამასთან, საპარლამენტო ეთიკის საკითხების რეგულირების მიზნით უფრო ეფექტური და ანგარიშგებაზე ორიენტირებული სისტემის ჩამოყალიბება არსებითად შეუწყობს ხელს საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირთან, სადაც საჯარო მოსამსახურეების მიერ ეთიკური ნორმების დაცვა კარგი მმართველობის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს პარლამენტი

განხორციელების ვადა: 2016 წელი

4.4. საქართველოს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსის შემუშავება					
წამყვანი დაწესებულება		საქართველოს პარლამენტი			
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება				
	სამოქალაქო/ კერძო სექტორი	ინიციატორი: ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)			
არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა					
მთავარი მიზანი		საქართველოს პარლამენტის წევრებისთვის სავალდებულო ხასიათის ეთიკის კოდექსის შემუშავება.			
OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება		საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება.			
შესაბამისობა OGP პრინციპებთან		ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	ანგარიშვალ-დებულება	მოქალაქეთა ჩართულობა	ტექნოლოგიები და ინოვაცია
			✓		
ვალდებულების განხორციელების ეტაპები		ახალი ან არსებული ვალდებულება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	

4.4. საქართველოს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსის შემუშავება			
საქართველოს პარლამენტის ეთიკის კოდექსის პროექტზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შექმნა	ახალი ვალდებულება	2015	2015
საქართველოს პარლამენტის ეთიკის კოდექსის ტექსტის შემუშავება	ახალი ვალდებულება	2015	2015
საქართველოს პარლამენტის ეთიკის კოდექსის პროექტის საჯარო განხილვა	ახალი ვალდებულება	2015	2016
საქართველოს პარლამენტის ეთიკის კოდექსის მიღება	ახალი ვალდებულება	2016	09/2016
ინდიკატორი	საქართველოს პარლამენტის წევრებისთვის სავალდებულო ხასიათის ეთიკის კოდექსი მიღებულია.		
რისკები და ვარაუდები	საქართველოს პარლამენტის წევრები მხარს არ დაუჭერენ ეთიკის კოდექსის მიღებას. მიღებული ეთიკის კოდექსი არ ატარებს სავალდებულო ხასიათს. ეთიკის კოდექსში არ არის გათვალისწინებული მოქალაქეთა მიერ საჩივრების შეტანის პროცედურა.		